ფრე ლიდერთან

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 14 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 0:0.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, გავაშელი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია (ესებუა), რეხვიაშვილი (წერეთელი).

კიევი: რუდაკოვი, ბურიაკი (ვერემეევი), მატვიენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, ონიშჩენკო (ბლოხინი), კოლოტოვი, მასლოვი, შებელი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:2 კიეველთა სასარგებლოდ.

1 ქულა ლიდერთან – ბევრია ეს თუ ცოტა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ცოტა არ იყოს ძნელია. თუ მხედველობაში მივიღებთ თბილისელთა სატურნირო მდგომარეობას, 1 ქულა მინიმალური დოზაა მათთვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ლიდერის ახლანდელ ფორმას, მის მიერ რამდენიმე დღის წინ თასის მოგებას და ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის რეალურ შესაძლებლობებს, ფრე ამ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ დიდ დანაკარგად. კიეველები ასე იოლად არ აგებენ მატჩებს.

ქულა–ქულად, მაგრამ მაყურებელი ამჯერად განსაკუთრებული, საგანგებო ყურადღებით აკვირდებოდა თბილისელთა თამაშს და ეს გასაგებიცაა. ამ მატჩისთვის ისინი ახალი მწვრთნელის – მ. იაკუშინის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ, ამდენად საინტერესო იყო, რა სიახლეები იქნებოდა კოლექტივში ტაქტიკური თვალსაზრისით, მოთამაშეთა განლაგებით, თამაშის საერთო ორგანიზაციით.

რა თქმა უნდა, ასე მოკლე ხანში შეუძლებელია გუნდის თამაშში მოხდეს რადიკალური ხასიათის გარდაქმნები, მაგრამ ძვრები უკეთესობისკენ უდავოდ არის. მასპინძლები გამოიყურებოდნენ უფრო მობილიზებულად, იგრძნობოდა გამარჯვებისადმი სწრაფვა, მეტი მოძრაობა, დინამიურობა, თუმცა, გამოსასწორებელი ჯერ კიდევ საკმარისადაა.

განსაკუთრებით კარგად ითამაშეს თბილისელებმა პირველ ტაიმში. პირველი წუთებიდან დაწყებული, იერიშები, მცირე გამონაკლისის გარდა, არ შეწყვეტილა თითქმის მთელი 45 წუთის მანძილზე. კიეველებს დაცვა და ნახევარდაცვა მთელი შემადგენლობით ჰყავდათ კონცენტრირებული საჯარიმო მოედანზე, რუდაკოვს არ გამოლევია სამუშაო, მაგრამ საკმარისი იყო მცირე შესაძლებლობა და სტუმრები მაშინვე გადადიოდნენ სახიფათო კონტრიერიშებზე.

შესვენების შემდეგ კიეველებმა მინდორზე თავიანთი უძლიერესი მოთამაშეები – ბლოხინი და ვერემეევი გამოიყვანეს, რაც მაშინვე დაეტყო გუნდის თამაშს. საერთო მდგომარეობა გათანაბრდა, მასპინძელთა იერიშებმა მოიკლო და ბრძოლამ შუა მინდორში გადაინაცვლა. მართალია, შემდგომშიც იყო თითო–ოროლა მომენტი ორივე კართან, მაგრამ ამას უკვე მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. 0:0 ბოლომდე შემორჩა ტაბლოს.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 17 აგვისტო, 1974 წ.